



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 279

ქალაქი ქუთაისი 29 ივნისი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
მოდრავი ქონების სახელმწიფოსათვის, უსასყიდლოდ,
საკუთრებაში გადაცემის შე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 აპრილის N5/20872 მომართვის საფუძველზე:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს, უსასყიდლოდ, საკუთრებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოდრავი ქონება, კერძოდ, ავტომანქანა „მერსედეს ბენც 410D“; გამოშვების წელი – 1994; სახელმწიფო ნომრით: NG-267- GN; ს/კ WDB6114671P350767.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი